

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის
(ს/კ18001042013)

სკრინინგის განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 15 თებერვლის N21/931 წერილის შესაბამისად წარმოგიდგენთ ქ. ზესატფონში სერგო ზაქარიაძის ქ N41-ში (საკ. კოდი: 32.10.41.125) ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის (ს/კ18001042013) ქვიშა-ხრეშის სამსხვერვე-დამახარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს შენიშვნების გათვალისწინებით.

ამჟამოდ საამქროს გარემოსდაცვითი დოკუმენტების მომზადებამდე შეჩერებული აქვს საქმიანობა.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ საწარმოსთვის შემუშავებულ ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშს.

გთხოვთ, შეითანხმოთ.

დანართი: ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძე

03.03.2023 წელი




ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძე

ქ. ზესტაფონი სერგო ზაქარიას ქ N41

ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს

ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი : შპს „ელსჰაუსი“
დირექტორი: ზ.კვაბჭირიძე.



დამკვეთი: ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძე



ქ. ქუთაისი 2023 წელი

შინაარსი

- შესავალი ----- გვ. 3
1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისა და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ----- გვ.4
 2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა ----- გვ.5
 3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები ----- გვ.6
 4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება ----- გვ.7-9
 5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება ----- გვ.7-9
 6. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება ----- გვ.9-10
 7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე ----- გვ.9-10
 8. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები) ----- გვ.10
 9. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში ----- გვ.11-14
 10. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება ----- გვ.15
 11. ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება ----- გვ.15
 12. საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი ----- გვ.16
 13. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ----- გვ.16
 14. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება ----- გვ.17
 15. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები ----- გვ.17
 16. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ----- გვ.17
 17. კუმულაციური ზემოქმედება ----- გვ.17-18
 18. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ----- გვ.18
 19. დანართი

შესავალი

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში ეხება ქ. ზესატფონში სერგო ზაქარიადის ქ N41-ში (საკ. კოდი: 32.10.41.125) ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის (ს/კ18001042013) ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციის პროექტს.

ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის საწარმო 2022 წელს შემოწმებული იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სდეპარტამენტის მიერ და გამოვლენილი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის-გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების-სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე ობიექტის მიერ საქმიანობის განხორციელების გამო გატარდა შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიება.

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით რომ საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტის მიერ დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას (ქვის დამტვრევა). საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამუშავება ამავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შემდგომადგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და სამინისტროსგან მიიღოს გადაწყვეტილება ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

საქმიანობის განმახორციელების მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ თუ, სამინისტრო დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება გზშ-ს, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავებული იქნა ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში სკრინინგის პროცედურის გასავლელად.

1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისა და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში N1

ცხრილი N1

ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი	ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძე
საიდენტიფიკაციო კოდი	(ს/კ 18001042013)
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. ზესტაფონი ბიბილაშვილის ქ N2 ბ. 48
საქმიანობის განხორციელების ადგილის ფაქტიური მისამართი, საკადასტრო კოდი	ქ. ზესტაფონი ავგო ზაქარიადის ქ N 41 (საკადასტრო კოდი: 32.10.41.125)
საქმიანობის სახე	სამშენებლო ინერტული მასალების წარმოება - სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება
დირექტორი	თეიმურაზ ჭანკოტაძე
საკონტაქტო ტელეფონი	598 83 14 24
ელექტრონული ფოსტა	znzn63@mail.ru
საკონსულტაციოს ფირმა	შპს „ელსჰაუსი“
საკონტაქტო ტელეფონი	591-97-50-90
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ქ. ზესტაფონი, სერგო ზაქარიადის N 41
განთავსების ადგილის კოორდინატი	X -339808; Y-4662860
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	0,100კმ
საპროექტო წარმადობა	
გამომუშავებული პროდუქციის სახეობა	ქვიშა - ღორღი (0-20მმ) ფრაქციის
საპროექტო წარმადობა	1536ტ/წელ (1,6 ტ/სთ)
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	ტემენიტის ქვის ნარჩენი 1536ტ/წელ,
მეთოდი	მშრალი, პირველადი მსხვრევა
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენების გარდა)	----
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	120 დღე/წელ
ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში,სთ	8 სთ/დღ

საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N2

წერტ.N	წერილის GPSკოორდინატები	
	X	Y
1	339803	4662879
2	339830	4662887
3	339831	4662862
4	339807	4662858

2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა

ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის (ს/კ18001042013) კუთვნილი ქვის სამსხვრევი საწარმო მდებარეობს ქ. ზესტაფინში, სერგო ზაქარიაძის ქ. N41-ში (ნაკვეთის კოდია: 32.10.41.125). არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

საწარმოო ტერიტორიის ფართი შეადგენს 599,00 კვ.მ-ს, სადაც განთავსებულია შენობა-ნაგებობა 233,54კვ.მ და ქვის სამსხვრევი აგრეგატი (GPS კოორდინატი: X -339808 Y-4662860) საწარმო მოწყობილია და ფუნქციონირება დაწყებული აქვს 2022 წლის იანვრის თვიდან. ამავე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის საკუთრებაში არსებული ქვის სველი მეთოდით სახერხი საამქრო.

პროექტით გათვალისწინებულ სამსხვრევ დანადგარზე განხორციელდება ქვის სახერხ საამქროში გრანიტის ქვის სველი მეთოდით დახერხვის შემდეგ მიღებული ჩამონახერხი ქვის ნარჩენების დამსხვრევა.

სამსხვრევ დანადგარში განხორციელდება ინერტული მასალის მსხვრევა მშრალი მეთოდით და ერთი ფრაქციის (0-20მმ) ქვიშა-ლორღის მიღება.

საწარმოს საპროექტო წარმადობა შეადგენს 1536 ტ ლორღის წარმოება წელიწადში, (1,6 ტ/სთ).

სამსხვრევი საწარმო ნედლეულად გამოიყენებს სახერხში ქვის დახერხვის შედეგად მიღებული - ტემენიტის ქვის ნარჩენებს, რომელიც საამქროდან გამოიზიდება ხელით და იყრება დროებით ღია ღია სასაწყობო მოედანზე, საამქროს შენობის გვერდით.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად ღია საწყობიდან ნედლეული ხელით პირდაპირ იყრება ყბებიან სამსხვრევეში. სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა მიეწოდება მბრუნავ ცხაურს, სადაც ხდება დამსხვრეული მასალის (00-20მმ) ჩამოყრა.

ცხაურზე დარჩენილი მხსვილი ზომის ქვა უბრუნდება სამსხვრევე დანადგარს. დამსხვრევის შემდეგ კი ისევ ცხაურს და ეს პროცესი მეორდება უწყვეტლივ.

საწარმოს წელიწადში გათვალისწინებული აქვს 1536ტ ინერტული მასალის წარმოება. საწარმო წელიწადში მუშაობს 120 დღე, 8 სთ-იანი გრაფიკით. საამქროში დასაქმებული იქნება არაუმეტეს ორი ადამიანი (კაცი).

აღნიშნული რაოდენობის პროდუქციის დასამზადებლად საწარმოს წელიწადში ესაჭიროება ნედლეული 1536 ტ ტემენიტის ნარჩენი.

სამსხვრევე საწარმოს სამეწამრეო დანიშნულებით წყალი არ ესაჭიროება.

ობიექტიდან სამხრეთით, უახლოესი დასახლებული პუნქტი ქ. ზესტაფონი და მასში არსებული უახლოესი მოქ. კახაბერ პაქსაძის საცხოვრებელი სახლი (საკ. კოდი: 32.10.41.465) დაშორებულია 100 მეტრით, ხოლო აღმოსავლეთიდანაა ჩრდილოეთიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრებაკერძო საკუთრებაში არსებული განაშენიანებული მიწის ნაკვეთი,

საპროექტო ტერიტორიიდან ჩრდილოეთით მიედინება მდ ყვირილა, დაშორება სამსხვრევი დანადგარიდან (GPS კოორდინატი: X -339808, Y-4662860) მდ. ყვირილას კალაპოტამდე პირდაპირი მაძილი არის 48 მ-ს, რელიეფის გათვალისწინებით ტექნოლოგიურ დანადგარსა და მდინარის კალაპოტს შორის ფაქტიურად მანძილი არის 80 მეტრი. მდინარესა და სამსხვრევე დანადგარს შორის მდებარეობს ქვის სახერხი სააქმროს შენობა-ნაგებობა.

„წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №440 დადგენილების 3-ე მუხლის შესასბამისად:

1. წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში აკრძალულია:

ა) მშენებლობა ან მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია, გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა;

ბ) საჰაერო დაფრქვევის გზით მრავალწლოვანი ნარგავების, ნათესი კულტურებისა და ტყის სავარგულების შხამქიმიკატებით შეწამვლა;

გ) მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების, აგრეთვე სხვადასხვაგვარი საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენების შენახვა-დაგროვება, დასაწყობება ან დამარხვა;

დ) ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატების, აგრეთვე ფეთქებადი ნივთიერებების გამოყენება და მათი შესანახი საწყობების განთავსება;

ე) სასაფლაოებისა და ცხოველთა სამარხების მოწყობა;

ვ) სატრანსპორტო და სხვა ტექნიკური საშუალებების რეცხვა;

ზ) ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავი ობიექტების (გარდა შიდა წყლის ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტების საწყობებისა), ავტოგასამართი სადგურების, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ობიექტების აგება;

თ) მეცხოველეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმების, ობიექტების, კომპლექსების, მათ შორის, ნაკელსაცავებისა და წუნწუხშემკრებების აგება;

ი) ხემცენარეების ჭრა, გადარგვა და გატანა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი პროექტის ან/და თანხმობის გარეშე.

2. წყალდაცვით ზოლში დამზებულია არსებული საწარმოს ექსპლუატაციის პირობის/ტექნოლოგიური სქემის ცვლილება ან/და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა, თუ ის მიერთებულია კანალიზაციის ცენტრალიზებულ სისტემასთან ან აღჭურვილია/აღიჭურვება შესაბამისი რეზერვუარებით ან/და სანიაღვრე წყლების საკანალიზაციო სისტემებით ან/და სხვა მოწყობილობებით, რომლებიც გამორიცხავენ წყლის ობიექტის დაბინძურებასა და დანაგვიანებას, აგრეთვე არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება/მოდერნიზაცია.

მიუხედავად იმისა რომ წყალდაცვით ზოლში ექცევა საპროექტო ტერიტორია, საწარმოში არ მოხდება ექსპლუატაციის პირობის/ტექნოლოგიური სქემის ცვლილება, ინფრასტრუქტურის მოწყობა, სამსხვრევი დანადგარი უკვე დამონტაჟებულია და არ საჭიროებს ფართო სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას. საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარი, რაც გამორიცხავს წყლის ობიექტის დაბინძურებას.

ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი სტანდარტები და ნორმები. საწარმოს ტერიტორიაზე საპირფარეშო დაკავშირებული იქნება სეპტიკურ ავზთან, სეპტიკური ავზის დასუფთავებას უზრუნველყოფს ადგილობრივი კვალიფიციური კომპანია. რაც ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკებს მინიმუმამდე შეამცირებს. პროექტის განხორციელების ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი მინიმალური იქნება

ობიექტიდან სამხრეთით დაგის ცენტრალური ავტომაგისტრალი დაახლოებით 55 მ-ში, ხოლო ჩრდილოეთით 180 მ-ში გადის რკინიგზის ხაზი

ცენტრალური გზიდან საპროექტო ტერიტორიამდე მოწყობილია მისასვლელი გრუნტის გზა, რომლის სირძე არის 55 მ.

საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით განთავსებულია ავტობანის სამშენებლო ინფრასტრუქტურული ობიექტები.

3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი.

საწარმოს ტერიტორიაზე იმოქმედებს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი ერთი ხაზი. ქვიშა-ხრეშის მსხვრევის პროცესი განხორციელდება მშრალი მეთოდით.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურის ელემენტები მოიცავს ქვის მსხვრევისა და დახარისხებისათვის გამოყენებულ შემდეგ დანადგარებს:

- ყბებიანი სამსხვრევი - 1 ერთი (ტიპი CMD-106) წარმადობა 5-14მ³ /სთ. ძრავის სიმძლავრე 30კვტ. წონა 5,6ტ;
- ლენტური ტრანსპორტიორი (ჯამური სიგრძე 12მ. სიგანე 0,4მ),
- მბრუნავი ცხავი 1 ერთი (ერთბადიანი , ძრავის სიმძლავრე 12 კვტ)
- ნედლეულისა და პროდუქციის ღია საწყობები.

საწარმოში ასევე საჭიროებს შემთხვევაში ხორციელდება ელ. შედურების სამუშაოები სამსხვრევი დანადგარის და მისი ნაწილების შეკეთების დროს.

განგაროშებაში შეტანილია სამსხვრევი დანადგარისა და მისი ნაწილების შეკეთებისას ელექტრო შედურების (ხელის შესადულელებელი აპარატი (ცალობითი ელექტროდებით) სამუშაოებისას გაფრქვეული მავნე ნივთიერებები.

სამსხვრევე საწარმოს ნედლეულით მომარაგება მოხდება ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის კუთვნილი ქვის (სველი მეთოდით) სახერხი სააქმროში წარმოქმნილი ტემენიტის ქვის ნარჩენები, რომელიც საამქროდან გამოიზიდება ხელით და იყრება დროებით ღია სასაწყობო მოედანზე, საამქროს შენობის გვერდით. ასევე ხელით იყრება ყბებიან სამსხვრევე დანადგარში. სამსხვრევიდან მიღებული ფრაქცია 0-22 მმ იყრება მბრუნავი ცხავში და ცხავიდან იყრება ღია საწყობზე. აქედანვე ხდება პროცუქციის რეალიზაცია.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად ღია საწყობიდან ნედლეული ხელით პირდაპირ იყრება ყბებიან სამსხვრევეში. სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა მიეწოდება მბრუნავ ცხავს, სადაც ხდება დამსხვრეული მასალის (00-20მმ) ჩამოყრა.

ცხავრზე დარჩენილი მსხვილი ზომის ქვა ლენტური ტრანსპორტიორით უბრუნდება სამსხვრევე დანადგარს. დამსხვრევის შემდეგ კი ისევ ცხავს და ეს პროცესი მეორდება უწყვეტლივ.

სამსხვრევე დანადგარში ინერტული მასალის მსხვრევა მიმდინარეობს მშრალი მეთოდით და ხორციელდება ერთი ფრაქციის (0-20მმ) ქვიშა-ლორღის მიღება.

საწარმოს საპროექტო წარმადობა შეადგენს 1536 ტ ღორღის წარმოება წელიწადში, (1,6 ტ/სთ).

ამდენად, სამსხვრევი საწარმო ნედლეულად გამოიყენებს სახერხში ქვის დახერხვის შედეგად მიღებული - ტემენიტის ქვის ნარჩენებს, რომელიც საამქროდან გამოიზიდება ხელით და იყრება დროებით ღია ღია სასაწყობო მოედანზე, საამქროს შენობის გვერდით.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად ღია საწყობიდან ნედლეული ხელით პირდაპირ იყრება ყბებიან სამსხვრევიში. სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა მიეწოდება მბრუნავ ცხაურს, სადაც ხდება დამსხვრეული მასალის (00-20მმ) ჩამოყრა ღია საწყობზე. აქედან ხდება მიღებული პროდუქციის ტომრებში ჩაყრა და რეალიზაცია.

4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება

სამსხვრევი საწარმო ნედლეულად გამოიყენებს სახერხში ქვის დახერხვის შედეგად მიღებული - ტემენიტის ქვის ნარჩენებს, რომელიც საამქროდან გამოიზიდება ხელით და იყრება დროებით ღია ღია სასაწყობო მოედანზე, საამქროს შენობის გვერდით.

საწარმოში მხოლოდ პროდუქციის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით. საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე. საწარმო ცენტრალურ ავტომაგისტრალს უკავშირდება 55მ სიგრძის გრუნტის გზით.

საწარმოს საპროექტო წარმადობა საათში შეადგენს 1,6 ტ/სთ, რაც საშუალოდ შეადგენს არაუმეტეს 2 გადაზიდვას დღეში. წელიწადში 240 გადაზიდვას. ტრანსპორტირების საშუალო მანძილი შეადგენს 0,5-4 კმ-ს. ავტომანქანის გადაადგილება ხდება გრუნტის გზაზე, რომელიც უერთდება ავტომაგისტრალს. ავტომაგისტრალამდე ტრანსპორტირების მარშუტი არ გადის დასახლებულ პუნქტში.

საწარმომდე მისასვლელი გზების კატეგორიების შესაბამისად გადაზიდვის აღნიშნული ინტენსივობა მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადზე. ასევე, პროდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება საფარველით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით.

5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება

ქვიშა-ხრემის სამსხვრევ საწარმოს საწარმოო დანიშნულების წყალი არ ესაჭიროება.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალი შემოიტანება გადასატანი რეზერვუარების საშუალებით, როგორც დასახლებული პუნქტის წყალსადენიდან, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელიდან.

საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება არაუმეტეს ორი კაცი, რომლებიც იმუშავებენ დღეში ერთცვლიანი 8სთ-იანი რეჟიმით. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის და ერთ მომუშავეზე დახარჯული წყლის რაოდენობაზე. ერთ სულზე წყლის მაქსიმალური ხარჯი დღის განმავლობაში შეადგენს 45 ლ-ს. წელიწადში 120 სამუშაო დღის და ერთცვლიანი 8 სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის საანგარიშო ხარჯი იქნება:

$$2 \times 45 = 90 \text{ ლ/დღეში, ანუ } 0,09 \text{ მ}^3/\text{დღეში,}$$

$$0,09 \text{ მ}^3 \times 120 \text{ დღე} = 10,8^3 / \text{წელ}$$

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ჩამდინარე წყლების ხარჯი არ აღემატება დღე-ღამეში 1 კუბ.მ-ს დასაშვებია ამოსანიჩბი ორმოს მოწყობა.

საპროექტო ტერიტორიაზე არ არის საკანალიზაციო ქსელი, ამიტომ საწარმოს საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების მისაღებად გათვალისწინებულია საპირფარეშოს მოწყობა ჰერმეტიკულ ბეტონის ავზზე, ტევადობით 1 კუბ.მ, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება საასენიზაციო ავტომანქანით ხელშეკრულების საფუძველზე.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლების წარმოქმნა ხდება ატმოსფერული ნალექების დროს.

საწარმოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მოცულობა დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე და ტერიტორიის ზედაპირის მახასიათებელ პარამეტრებზე. არსებული მეთოდოლოგიით სანიაღვრე წყლების მოცულობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K \text{ მ}^3/\text{წელ}$$

სადაც,

Q - სანიაღვრე წყლების მოცულობა მ³/დღე

F - ტერიტორიის ფართობი ჰა-ში, მიღებულია 0,0599 ჰა

H - ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა (ონის რაიონში ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა 1190 მმ წელიწადში, საათური მაქსიმუმი 11მმ)

K- კოეფიციენტი რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე, რაც მოცემულ შემთხვევაში ხრემის საფარისთვის აღებულია 0,04.

გათვლების შედეგები შემდგენიანია:

$$Q_{წელ} = 10 \times 0,0599 \times 1190 \times 0,04 = 28,51 \text{ მ}^3 / \text{წელ}$$

$$Q_{სთ} = 10 \times 0,0599 \times 11 \times 0,04 = 0,22 \text{ მ}^3 / \text{სთ}$$

სანიაღვრე წყლების მაქსიმალური დღე-ღამური მოცულობა იქნება 0,67 კუბ.მ დღ/ღამ. მაქსიმალური საათური ხარჯი (წვიმის საშუალო ხანგრძლივობად ვიღებთ 4საათს) იქნება 0,16კუბ.მ .

სანიაღვრე წყლების მისაღებად საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია გრუნტის ავზი, ტევადობით 8 კუბ.მ, მისი გაბარიტებია: სიგრძე - 3მ, სიგანე- 3მ, სიღრმე - 1მ , მთლიანი მოცულობა 9 კუბ.მ, სასარგებლო მოცულობა 8 კუბ.მ აქ შეგროვილი წყალი გამოიყენებული იქნება ტერიტორიის მოსარწყავად. მდ ყვირილაში საწარმოო გამოყენებული წყლების და სანიაღვრე წყლების ჩაშვება არ მოხდება.

6. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით, ხმაურის გავრცელებით, ნიადაგის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შესაძლო დაბინძურებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმო ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ძირითადად ქვიშა-ხრეში სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი და ასევე ხელის შესადუღებელი აპარატი (ცალობითი ელექტროდებით).

ქვიშა-ხრეშის მსხვრევის პროცესი იწარმოებს მშრალი მეთოდით.

ქვის მსხვრევისა და დახარისხების პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი და ელ. შედუღებისას შედუღების აეროზოლის მანგანუმის დიოქსიდი

8. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ინერტული მასალის არაორგანული მტვერი ამ ნივთიერებების კოდი და ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში N 2.

ცხრილი 2. მოცემულია ამ ნივთიერების მახასიათებელი სიდიდე.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2908	ინერტული მასალის მტვერი	0,5	0,15	3
0115	შედუღების აეროზოლი	0,5	-	2
0143	მანგანუმის დიოქსიდი	0,01	0,001	2

ტექნოლოგიური პროცესის შედეგად ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა ხდება 10 არაორგანიზებული წყაროდან:

1. ნედლეულის- ტემენიტის ქვის ნარჩენის დაყრა ღია საწყობზე (გ-1, წყარო)
2. გაფრქვევა ნედლეულის ღია საწყობიდან (გ-2, წყარო)
3. გაფრქვევა მკვებავ ბუნკერში ნედლეულის ჩაყრისას (გ-3 წყარო)
4. გაფრქვევა ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-4 წყარო)
5. გაფრქვევა მბრუნავი საცერიდან (გ-5 წყარო)
6. გაფრქვევა ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-6 წყარო)
7. გაფრქვევა პროდუქციის ღია საწყობებიდან (გ-7, გ-8 წყარო)
8. გაფრქვევა პროდუქციის ტომრებში ჩაყრისას (გ-9 წყარო)
9. ხელის შესადუღებელი აპარატი (ცალობითი ელექტროდებით) (გ-10 წყარო)

10. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის(საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N435) მიხედვით“.

საწარმოში მიმდინარეობს ინერტული მასალის ერთჯერადი მსხვრევა მშრალი მეთოდით და მიიღება 0-20 მმ ფრაქციის ღორღი და ქვიშა

- ნედლეულის-ინერტული მასალის (ტემენიტის ქვის ნარჩენის) ღია საწყობზე დაყრის დროს (გ-1 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც

K_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია

K_2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_4 - გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი, ავტოთვიომცლელელებიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2; 10 ტ-ზე მეტის შემთხვევაში აიღება 0,1; სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1 -ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - წარმადობა ტ/სთ-ში 1,6

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდიკაში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,02; K_2 - 0,04; K_3 - 1,4; K_4 - 1,0; K_5 - 1,0; K_7 - 0,1; K_9 - 1; B - 0,5; G - 1,6 \text{ ტ/სთ}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტესივობა იქნება:

$$M = 0.02 \times 0.04 \times 1.4 \times 1.0 \times 1.0 \times 0.1 \times 1 \times 0.5 \times 1.6 \times 10^6 / 3600 = 0.024 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0.024 \times 960 \times 3600 / 10^6 = 0.082 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევა ნედლეულის (ტემენიტის) ღია საწყობიდან (გ-2 წყარო) წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f / \text{წმ}$$

სადაც,

$K_3=1,4$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5=1,0$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6=1.2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 16-მდე

$K_7=0,4$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q=0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ² წმ

$f = 15 \text{ მ}^2$ - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,4 \times 1,0 \times 1,2 \times 0.4 \times 0.002 \times 15 = 0.02018 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0201 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0.633 \text{ ტ/წელ}$$

ნედლეულის მკვებავ ბუნკერში ჩაყრის დროს (გ-3 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 \times 0.4 / 3600 \text{ გ/წმ}$$

ამ შემთხვევაში კოეფიციენტების მნიშვნელობები შეადგენს:

$$K_1 - 0,02; K_2 - 0,04; K_3 - 1,4; K_4 - 1,0; K_5 - 1,0; K_7 - 0,1; K_9 - 1; B - 0,5; G - 1,6 \text{ ტ/სთ}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M = 0.02 \times 0.04 \times 1.4 \times 1.0 \times 0.01 \times 1.0 \times 0.1 \times 1 \times 1.6 \times 0.5 \times 10^6 / 3600 = 0.00024 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0.00024 \times 960 \times 3600 / 10^6 = 0.00082 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევა ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-4 წყარო) გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$G_{\text{მტვრ}} = G_{\text{საშ.}} \times g \times N \times t \times k / 10^3$$

სადაც $G_{\text{საშ.}}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 1,6 ტ/სთ. მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ მასალის მშრალი ერჯერადი მსხვრევისას შეადგენს 0,07 კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (120დღე/წელ X 8სთ = 960სთ)

$$G_{\text{მტვრ}} = 1,6 \times 960 \times 0,07 / 10^3 = 0,107 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{მტვრ}} = 0,107 \times 10^6 / 960 \times 3600 = 0.030 \text{ გ/წმ}$$

- გაფრქვევა მბრუნავი საცერიდან (გ-5 წყარო) ჩამოყრის დროს გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც, აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდოლოგიაში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,03 ; K_2 - 0,04 ; K_3 - 1,2 ; K_4 - 0,2 ; K_5 - 1,0 ; K_7 - 0,5 ; K_9 - 1 ; B - 0,4 ; G - 1,6 \text{ ტ/სთ.}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვრ}} = 0,03 \times 0,04 \times 1,2 \times 0,2 \times 1,0 \times 0,5 \times 1 \times 0,4 \times 1,6 \times 10^6 / 3600 = 0,0256 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0256 \times 960 \times 3600 / 10^6 = 0,088 \text{ ტ/წელ}$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის ლენტური სტრანსპორტიორით გადაადგილებისას (გ-6 წყარო)

ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ.}} = W \times K \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ}$$

სადაც,

W - ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია 3×10^{-5} კგ/მ² წმ

K- ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1მ -ის

B - ლენტის სიგანეა და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 0,4 მ-ის

L - ლენტის ჯამური ისგრძე და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 12 მ

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით

$$M_{\text{მტვ}} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,4 \times 12 \times 10^3 = 0,0144 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0,0144 \times 960 \times 3600 / 10^6 = 0,0497 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევა მიღებული პროდუქციის (ქვიშა და ღორღი) ღია საწყობებიდან (გ-7, გ-8 წყარო) მიღებული პროდუქციის საწყობებიდან (ქვიშა, ღორღი) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ} \quad \text{სადაც,}$$

ქვიშისთვის: (გ-6 წყარო)

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 16-მდე

$K_7 = 0,6$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდანგ/მ² წმ
 $f = 3$ მ²-ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,2 \times 0,6 \times 0,002 \times 3 \times 0,4 = 0,00020 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,00020 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0,0063 \text{ ტ/წელ}$$

ღორღისთვის: (გ-8 წყარო)

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 1,0$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 16-მდე

$K_7 = 0,4$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდანგ/მ² წმ

$f = 3$ მ²-ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 1,0 \times 1,2 \times 0,4 \times 0,002 \times 3 \times 0,4 = 0,00138 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,00138 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0,043 \text{ ტ/წელ}$$

➤ გაფრქვევა მიღებული პროდუქციის (ღორღის) ტომრებში ჩაყრისას (გ-9 წყარო)

მიღებული პროდუქციის საწყობიდან ღორღის ტომრებში ჩაყრისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდულ კაში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,03 ; K_2 - 0,04 ; K_3 - 1,2 ; K_4 - 0,2 ; K_5 - 1,0 ; K_7 - 0,5 ; K_9 - 1 ; B - 0,4 ; G - 1,6 \text{ ტ/სთ.}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

